

დამტკიცებულია შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღის“
დირექტორის 2009 წლის 1 სექტემბრის N36 ბრძანებით

შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღის“
„დავების განხილვის საბჭოს“
დებულება

წინამდებარე დებულება მიღებულია და დამტკიცებულია საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“ და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და განსაზღვრავს შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღაში“ დავების განხილვის საბჭოს ფორმირების, საჩივრებისა და განცხადებათა მიღების, განხილვის პროცედურებისა და მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების წესს.,

1. დავების განხილვის საბჭო-შემდგომში „საბჭო“ არის შპს „სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღაში“ (შემდგომში კომპანია) შექმნილი საჩივრების განმხილველი ორგანო, რომელიც შექმნილია, მოქმედებს და ღებულობს გადაწყვეტილებებს საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად.

2. საბჭო შედგება 3 წევრისაგან, რომელთა ბრძანებით სამი წლის ვადით ნიშნავს კომპანიის დირექტორი

3. დავების განხილვის საბჭოს წევრები არ შეიძლება იყვნენ:
უმაღლესი თანამდებობის საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები



The image shows a handwritten signature in blue ink over a circular official stamp. The stamp contains the text 'სამაუწყებლო კომპანია მეცხრე ტალღის' (Public Company '9th Wave') and 'სადავო განხილვის საბჭოს' (Dispute Resolution Board) in Georgian, along with the company's registration details.

-საჩივრის (განცხადების) თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგით დაინტერესებული პირი (პირები).

-შეთავსებლობის შემთხვევაში, განმცხადებლის მოტივირებული შუამდგომლობის ან თვითაცილების გაცხადებისას, კომპანიის დირექტორი დროებითი ბრძანებით ნიშნავს საბჭოს ახალ წევრს (თავმჯდომარეს).

4. საბჭოში საჩივრის (განცხადების) განხილვის დაწყების საფუძველია ფრიზიკური ან იურიდიული პირის (პირების), არასამტკვერობო ორგანიზაციების წერილობითი საჩივრის (განცხადების) წარდგენა ტელეკომპანიის ან მისი თანამშრომლის მიმართ, რომელიც უკავშირდება საჩივრის ადრესატის მიერ საქართველოს კანონის „მაუწყებლობის შესახებ“ და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევას

5. დავების განხილვის საბჭო უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებას, საჯარო, მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოთ საჩივრის განხილვის გამწვირვალე პროცესი.

რის უზრუნველყოფადაც საბჭო:

-საჩივრის ადრესატ მხარეს უგზავნის საბჭოში წარმოდგენილი საჩივრის (განცხადების) ასლს თანდართული მტკიცებულებებით და აძლევს გონივრულ ვადას თავისი მოსაზრების საბჭოში წერილობითი წარმოსადგენად.

-საჩივრის ადრესატის მიერ მიღებულ წერილობით მოსაზრებას და თანდართულ მტკიცებულებებს უგზავნის საჩივრის ავტორს

-საჭიროების შემთხვევაში, წარმოდგენილ საჩივარზე თუ შესაგებელზე, მათ წარმომდგენ მხარეს განუსაზღვრავს ვადას წარმოადგინონ საჩივრისა თუ შესაგებელის დამადასტურებელი მტკიცებულებანი.

-საბჭოს მიერ მიცემულ ვადაში მხარის მიერ მოთხოვნის შეუსრულებლობისას საბჭო უფლებამოსილია განიხილოს წარმოდგენილი საჩივარი (განცხადება) მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე.

-სამოქალაქო საპროცესო კანონით დადგენილი წესით მხარეებს აცნობებს საჩივრის განხილვის თარიღს.

6. დაინტერესებული მხარე (საჩივრის ავტორი) უფლებამოსილია საჩივრის განხილვაში წარმოდგენილი იქნეს წარმომადგენლის/ ადვოკატის მეშვეობით.

7. საბჭოში საჩივრები და განცხადებები განიხილება მათი მიღებიდან 20 დღის ვადაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. საჩივრის განხილვაზე განმცხადებელი ან/და საჩივარზე მოპასუხე პირის გამოუცხადებლობა საბჭოს არ ათმევეს უფლებას განიხილოს წარმოდგენილი განცხადება (საჩივარი)

8. თუ გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელია 21 დღეზე მეტი ვადა, დავების განხილვის საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ვადის გაზრდის თაობაზე დ აცნობოს ამის შეახებ ყველა დაინტერესებულ პირს.



9. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს წევრთა უმრავლესობით. საჩივრის (განცხადების) განმხილვევ საბჭოს წევრებს არა აქვთ გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმის და თავის შეკავების უფლება. საბჭოს წევრის განსხვავებული მოსაზრება, უნდა დაფიქსირდეს ცალკე წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაეკვრება საქმეში და მიღებულ გადაწყვეტილებასთან ერთად გადაეცემა დაინტერესებულ მხარეებს.

10. დავების განხილვის საბჭო შმოსულ საჩივართა (განცხადებათა) განხილვის შედეგად რეზულობს გადაწყვეტილებას და ამავე გადაწყვეტილებით საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში განსაზღვრავს დამრღვევი პირის მიმართ სანქციებს, რომლებიც დარღვევის სიმძიმის, ბრალეულობის და დამდგარი შედეგის გათვალისწინებით შეიძლება იყოს:

- სარეკომენდაციო ბარათი
- საყვედური
- სამსახურიდან დათხოვნა

გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ დასაბუტებული უნდა იქნეს.

11. საბჭოს მიერ საჩივრის გახილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების გამოცხადება, საბჭოს მიერ შეიძლება გადადებული იქნეს გონივრული ვადით. გამოცხადების თარიღი დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

დასაბუტებული გადაწყვეტილება დაინტერესებულ პირს უნდა ჩაბარდეს ან გაეგზავნოს ფოსტის მეშვეობით გადაწყვეტილების გამოცხადებიდან შვიდი დღის ვადაში

12. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია საბჭოს მიერ მიღებული დასაბუტებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს აპელაციის წესით

